თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 5046448

გაცემის თარიღი: 30/07/2020 გაცნობის თარიღი: -

განცხადების ნომერი: AR1762518
შემოსვლის თარიღი: 24/07/2020
შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.17.13.041.018
- მისამართი: ქალაქი თბილისი , გამზირი ქეთევან წამებული , N 57
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 4040.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "ავლაბარი ჰოტელ რეზიდენსი" (405121960)

ნომენკლატურა :

- **სამართლებრივი საკითხები**
- **ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- დიმიტრი გოხელაშვილი პ/ნ 59004001068
- მისამართი: გოთუა ქ #12

ბრძანება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 22 აპრილის №4468051 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 24 ივლისს №AR1762518 განცხადებით მომართა დიმიტრი გოხელაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2019 წლის 22 აპრილის №4468051 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 12 აპრილის №4457933 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი №57-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.17.13.041.018) მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტი.

სამსახურის 2019 წლის 22 აპრილის №4468051 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 22 აპრილიდან 2022 წლის 22 იანვრის ჩათვლით.

სამსახურის 2020 წლის 10 თებერვლის №4855196 ბრძანებით შეთანხმდა მრავალფუნქციური (საცხოვრებელი-სასტუმრო) კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2019 წლის 22 აპრილის №4468051 ბრძანებაში შეცდომით იქნა დაფიქსირებული მშენებლობის ვადა, კერძოდ: "მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 22 აპრილიდან 2022 წლის 22 იანვრის ჩათვლით'' ნაცვლად დაფიქსირდა "მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 22 აპრილიდან 2020 წლის 22 აპრილის ჩათვლით".

საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2019 წლის 17 აპრილის №AR1675927 განცხადებაზე წარმოდგენილ იქნა მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი 33 თვეზე და 2019 წლის 22 აპრილის №4468051 ბრძანებით მშენებლობის ვადა უნდა განსაზღვრულიყო 2019 წლის 22 აპრილიდან 2022 წლის 22 იანვრის ჩათვლით, თუმცა ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად არასწორად დაფიქსირდა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2019 წლის 22 აპრილის №4468051 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 22 აპრილის №4468051 ბრძანებაში და ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 22 აპრილიდან 2022 წლის 22 იანვრის ჩათვლით''.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 22 აპრილის №4468051 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 22 აპრილის №4468051 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი